შრომითი ხელშეკრულება № 21

ასპინძა აწყვიტა 20 ოქტომბერი 2016წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ აწყვიტის საჯარო სკოლის დირექტორი ნოდარი ბერიძის სახით,შემდგომში „დამქირავებლად“ წოდებული და მეორეს მხრივ მოქალაქე, ლევანი ივანიძე, შემდგომში „დაქირავებულად“ წოდებული, მცხოვრები სოფ. აწყვიტაში, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები

- ხელშეკრულება იდება 2016 წლის 20 ოქტომბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.
- ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ, მისი ხელის მოწერის დღიდან.
-

მუხლი 2. დაქირავებულის უფლებები და მოვალეობები

- დაქირავებული მოვალეა:

1. ჯეროვნად, დროულად, ხარისხიანად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის მინდობილი სამუშაო.

2. კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, დამქირავებლის შინაგანაწესი, ხელმძღვანელის ბრძანებები და მითითებები;

3. გაუფრთხილდეს დამქირავებლის ქონებას;

4. არ გაამჟღავნოს დამქირავებლის კონფედენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ორგანიზაციაში საქმიანობის შედეგად;

5. დაქირავებული ანგარიშვალდებულია ხელმძღვანელის წინაშე.

2.2 დაქირავებულს უფლება აქვს:

1. მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ სამუშაოს სათანადო შესრულებასთან;

2. მოითხოვოს დამქირავებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულება;

3. ისარგებლოს კანონით დადგენილი სხვა უფლებებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. დამქირავებელი დაქირავებულს შრომის ანაზღაურების სახით უხდის ოქტომბრის თვეში 20m^3 საწვავი შეშის დახერვისათვის თავის საწვავით 200 ლარს.

3.2. თანხა გაიცემა ერთჯერადად, რომელიც ირიცხება დაქირავებულის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

4.1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

1. მხარეტა შეთანხმება;

2. წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით დაწესებული ვადის გასვლა;

3. კანონდებლობით განსზღვრული სხვა საფუძვლები.

4.2. ხელშეკრულება ვადამდე დამქირავებლის ინიციატივით წყდება, თუ:

1. დაქირავებული ვერ ასრულებს მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს;

2.არღვევს მოქმედ კანონმდებლობას და სკოლის წესდებას.

4.3. ხელშეკრულება ვადამდე დაქირავებლის ინიციატივით წყდება:

1. პირადი განცხადების საფუზველზე

2. დამქირავებლის მხრიდან ხელსეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის პირობებში.

მუხლი 5. სხვა დებულებანი

5.1. ხელშეკრულება არ შეიცავს სხვა სიტყვიერ შეთანხმებას;

5.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

5.3 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამსაქმებელი	დასაქმებული
სსიპ - აწყვიტის საჯარო სკოლა საიდენტიფიკაციო კოდი: 223104290 საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი ასპინძის ფილიალი" საბანკო კოდი: ა/ა GE42LB0121148085083000 დირექტორის მ.შ ნოდარ ბერიძე (ხელმოწერა)	ლევან ივანიძე პირადი №05001007759 სს „ლიბერთი ბანკი ახალციხის ფილიალი" ანგარიშის № GE19LB0711101631352140 მისამართი: ასპინძა სოფ. აწყვიტა ტელ.: (ხელმოწერა)